წერილის ნომერი: **27-27253425**
თარიღი: **08/12/2025**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს ინფორმაციის

თავისუფლების შესახებ დებულების შესრულების თაობაზე

2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 02 განცხადებით, მოთხოვნილი იქნაა 20 საჯარო ინფორმაცია, აღნიშნული მოთხოვნები სრულად იქნა დაკმაყოფილებული საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის თეონა ბეგაშვილის მიერ **(telavimunicipalitycouncil@gmail.com).**

შემოსულ მოთხოვნებზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტიც არ მომხდარა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული არ არის.

2025 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

საანგარიშო პერიოდში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 36-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თეონა ბეგაშვილი **(telavimunicipalitycouncil@gmail.com).**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სისტემაში მოქმედებს შემდეგი მონაცემთა ბაზები:

მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული და გასული კორესპონდენციის მონაცემთა ბაზა.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის განმავლობაში არ გამოვლენილა.

საანგარიშო პერიოდში, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უაყოფითი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე